ხანგრძლივი შესვენების შემდეგ

მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 1 ივლისი.

“ტორპედო” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) - 1:1 (1:1).

“ტორპედო”: კავაზაშვილი, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, სარაევი, ვორონინი, მეშჩერიაკოვი, სოლოვიოვი, ივანოვი, შჩერბაკოვი, ბატანოვი (მარუშკო), სერგეევი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი, დათუნაშვილი.

მსაჯი: მ. რუბენისი (რიგა).

თამაშის წინ წამოვიდა წვიმა საკმაოდ ძლიერი ჭექა-ქუხილით “შეზავებული”. წვიმდა მატჩის თითქმის პირველი ნახევარი. მინდორი საკმაოდ სველი იყო. მიუხედავად ამისა, ძველი მეტოქეების შეხვედრამ საინტერესო სპორტულ ბრძოლაში ჩაიარა.

მატჩი დაიწყო იმით, რომ ტორპედოელთა კაპიტანი ივანოვი ელვის სისწრაფით შეიჭრა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ უკანასკნელ მომენტში სახიფათო მდგომარეობა განმუხტა ხურცილავამ. ორი წუთის შემდეგ იგივე განმეორდა, ახლა ავტოქარხნელთა კართან - მეტრეველმა ოსტატურად აუარა გვერდი მეტოქის მცველებს და ამ უკანასკნელებმა ისღა მოახერხეს, რომ ბურთი კუთხურზე გაგზავნეს. თბილისელთა მარჯვენა გარემარბის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიუსწრო დათუნაშვილმა, მაგრამ მეკარე კავაზაშვილი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

კვლავ ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა მატჩი, მაგრამ მე-7 წუთზე მოსკოველთა ერთ-ერთი იერიში ჩვენი კარის აღებით დაამთავრა ბატანოვმა. ამაში თავდამსხმელს იმდენად არ მიუძღვის დამსახურება, რამდენადაც “დინამოს” მცველებს, რომლებმაც ერთმანეთში ვერ გამონახეს საერთო ენა და საშუალებას აძლევდნენ ტორპედოელებს - ივანოვსა და შჩერბაკოვს თავისუფლად ემოქმედათ. განსაკუთრებით ცოდავდა ბ. სიჭინავა, რომელმაც ვერაფერი გააწყო სერგეევის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა მე-16 წუთზე ახლო მანძილიდან ძლიერად დაარტყა დინამოელთა კარში, მაგრამ კოტრიკაძემ აკრობატული ნახტომით იხსნა კარი აშკარა გოლისაგან. ძალზე აქტიურობდა ჩვენი გუნდის ნახევარდაცვა (იამანიძე, გ. სიჭინავა), რომელსაც გარღვევაზე გაჰყავდა თავიანთი თავდამსხმელები. მაგრამ ჩვენი ფორვარდები ვერ იყენებდნენ ამ შესაძლებლობებს.

წონასწორობა აღსდგა 26-ე წუთზე. დინამოელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს. მეტრეველმა გარღვევაზე გაიყვანა ხუციშვილი, რომელსაც უკანასკნელ მომენტში “ტორპედოს” მცველები უხეშად მოექცნენ. საჯარიმო დარტყმიდან ბურთი მიიღო დათუნაშვილმა, კარში დაარტყა. მოსკოველები ძელმა იხსნა, მაგრამ არა საბოლოოდ. ბურთს მიუსწრო ბარქაიამ და ანგარიში გათანაბრდა - 1:1.

ამის შემდეგ ინიციატივა 15 წუთის განმავლობაში თბილისელთა მხარეზე იყო, მაგრამ დინამოელებმა ვერ გამოიყენეს ანგარიშის გაზრდის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა.

შესვენების შემდეგ კვლავ თბილისელები უტევდნენ, ტორპედოელთა კართან ხშირად იქმნებოდა ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ჩვენი თავდამსხმელები ცოდავდნენ, არაზუსტად ურტყამდნენ კარში. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო მოსკოველთა მეკარემ კავაზაშვილმა.

ასე გრძელდებოდა მეორე ტაიმის 35-ე წუთამდე. უკანასკნელ 10 წუთში დინამოელები ოდნავ მოეშვნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითქოს ისინი შეურიგდნენ ფრეს, მაშინ, როცა მოსკოველებმა პირიქით, უფრო გააძლიერეს შეტევები.

მატჩის დროს ამოიწურა, მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს 2 ქულა.

დუბლიორთა მატჩი მოიგეს ტორპედოელებმა - 2:0. თბილისელთა შორის ოთხ ნომრად თამაშობდა გ. ჩოხელი, რომელმაც შეხვედრა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა.

კ. მიხაილოვი.

“ლელო”, 2 ივლისი, 1964 წ.